ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №118

2021 წ. 6 აგვისტო. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- მარიამ კვერნაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.(28,07,2021; №12-032120927-03)

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.(#11-0121216358 საკრ#15-032121625-03; #11-012121717778 საკრ.#15-03212171778-03)

3.ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისი N270 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"02.08.2021; N12-032121411-03)

4. ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუს N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.024.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
(02.08.2021;#12-032121411-03)
5. ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N28-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.12.010.007.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
(02.08.2021; N12-032121411-03)

6. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
02.08.2021; N12-032121411-03)

7. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.035 და N N01.19.27.007.026.01.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
(02.08.2021; N12-032121411-03)

8. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
(02.08.2021; N12-032121411-03)

9. ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
(02.08.2021; N12-032121411-03)

10. " ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს N14ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.006.01.611)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
(02.08.2021; N12-032121411-03)

11. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N319-ში (საკადასტრო კოდი: 01.12.11.001.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
(02.08.2021; N12-032121411-03)

12. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გორგასლის ქუჩა N28 (ნაკვეთი N135/9)-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.135.009.01.500; N01.20.01.135.009.01.501; N01.20.01.135.009.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
(03.08.2021; №1203212154-03)

13. ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი 04/012, საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(02.08.2021; N12-032121411-03)

14. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

(05.08.2021; № 12-032121737-03)

15. "ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.064.006.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

(05.08.2021; 12-032121737-03)

16. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

(05.08.2021; 12-032121737-03)

17, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონი, კორპუსი N2-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

(05.08.2021 ;N12-032121741-03)

18. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ააიპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდის" (ს/კ 405079640) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 03,08,2021;№12-032121567-03

19. ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (09.07.2021; N12-032119075-03)

20. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა *#17-ში, ქ.თბილისში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით* არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე". (02,08,2021;№12-032121432-03)

დღის წერიგი დამტკიცდა

მოისმინეს:ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 597,079.9 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 581,670.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97.4%. მათ შორის:

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 568,741.7 ათასი ლარი ფაქტიურად 535,664.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 94.2% და მთლიანი - შემოსულობების 92.1% შეადგინა.

არაფინანსური აქტივების კლების სახით საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია 46,005.1 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 3,661.3 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 292.5 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 42,051.4 ათასი ლარი.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 1.2 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო სხვა კრედიტორული დავალიანებების და საგარეო აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2021 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი. 2021 წლის 6 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 29,777.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 78,276.5 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით 6 თვის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 626,857.8 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 503,394.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.3%-ია, მათ შორის: ხარჯების შესრულება - 410,451.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 128,496.3 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - 7,726.2 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ მოკლედ გააცნო კომისიის წევრებს 6 თვის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანის, მთაწმინდისა და ჩუღურეთის რაიონული გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები. კერძოდ: გლდანის რაიონის მოთხოვნით „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში" მესამე კვარტალს ემატება 231 000 ლარი, „კეთილმოწყობითი ღონისძიებების „ პროგრამის „საქონელი და მომსახურების" მუხლში 60 000 ლარი , ხოლო „გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიბების" პროგრამას 1750 ლარი.

მთაწმინდის რაიონში: „გზების მოვლა შეკეთების" პროგრამაში მესამე კვარტალს ემატება 146 000 ლარი, „კეთილმოწყობითი ღონისძიებების" პროგრამაში- 70 000 ლარი, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპესაციო თანხები" -პროგრამაში 20 000 ლარი და „სხვა სოციალური დახმარებების(ღონისძიებები) პროგრამაში -65 000ლარი.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, „სხვა სოციალური დახმარებების(ღონისძიებები) პროგრამაში, მესამე კვარტლის გეგმას ემატება 200 000 ლარი.

ყველა აღნიშნული თანხების გადმოტანა ხდება, შესაბამისი პროგრამების მეოთხე კვარტლის გეგმებიდან.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები

ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა **გადაწყვიტეს**:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისი N270 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე.
მარიამკვერნაძის მოხსენებით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისი N270 განკარგულება მოქალაქეთა: სოფიო ხვედელიძის (პ/ნ 01027030370) და კახაბერ ხვედელიძის (პ/ნ 01027034160) ნაწილში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის #21.1052.1161 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს სოფიო ხვედელიძეს (პ/ნ 01027030370) გადაეცემა ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში მეოთხე სართულზე მდებარე 86,47 კვმ ფართი (საკ/კოდი : 01.19.20.026.027.01.048) და კახაბერ ხვედელიძეს (პ/ნ 01027034160) გადაეცემა ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში მესამე სართულზე მდებარე 89,07კვმ ფართი (საკ/კოდი : 01.19.026.027.01.031)

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუს N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.024.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მიკრო/რაიონში, კორპუს N22-ში, პირველ სართულზე მდებარე 79.98 კვ.მ ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.024.01.506), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნათელა გობეჯიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს ცნობითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით, ასევე გამგეობის წერილით დგინდება, რომ ნათელა გობეჯიშვილი ოჯახთან ერთად 1996 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული ინფორმაციით ნათელა გობეჯიშვილს საკუთრებაში ერიცხებოდა ქალაქ თბილისში, გლდანის მე-5 მიკრო / რაიონში, კორპუს N10-ში მდებარე ბინა N98 (40.00 კვ.მ) საკადასტრო კოდი: 01.11.10.013.017.01.098) გაასხვისა 2008 წელს. აღნიშნული პირს,1 პირს გადაეცემა 1 ერთეული 79.98 კვ.მ. ფართი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N28-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.12.010.007.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა რუსთავის გზატკეცილი N28, მდებარე 30.00 კვ.მ ფართის ბინა N40-ის (საკადასტრო კოდი: 01.18.12.010.007.01.040), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს ცნობით დგინდება, რომ გოჩა ზეინკლიშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2003 წლიდან; ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის" ოქმის მიხედვით დასტურდება რომ გოჩა ზეინკლიშვილის ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან. ზემოაღნიშნულ ფართში გოჩა ზეინკლიშვილი ოჯახთან ერთად შესახლებულ იქნა, როგორც ქ.თბილისში 2002 წელს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული. გამგეობის წერილით დამატებით წარმოდგენილია გოჩა ზეინკლიშვილის და მისი ოჯახის წევრების თანხმობა, რომ ზემოაღნიშნული ბინის მიღების სანაცვლოდ მომავალში მას და მის ოჯახის წევრებს პრეტენზია არ ექნება სახელმწიფოს / ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, როგორც მიწისძვრით დაზარალებული პირებს ქონების საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით.აღნიშნული პირს გადაეცემა 1 ერთეული 30.00 კვ.მ. ფართი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, მე-9 კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 62.69 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.513) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე მაყვალა ონიანისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით, დგინდება რომ მაყვალა ონიანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 16 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

აღნიშნულ პირს (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 62.69 კვ.მ. ფართი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.035 და N N01.19.27.007.026.01.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .
მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.035 და N01.19.27.007.026.01.036) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (2 პირს, (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. საერთო ჯამში 147.29 კვ.მ ფართი. შსს ცნობით, დგინდება რომ ეს ოჯახები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 2003 წლიდან, ხოლო გამგეობის შემოწმების ოქმით და მოწმეების ჩვენებით 1996 წლიდან.
მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.005) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (5 პირს, (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. საერთო ჯამში გადაეცემათ 249.71 კვ.მ. შსს ცნობით, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დიოსკურიას" კრების ოქმით დგინდება, რომ ეს ოჯახები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 1998-1999 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500), მეორე სართულზე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .
მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500) მდებარე უძრავი ქონების (14,60 კვმ ფართი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე ანდრო ლაბაძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან

დაკავშირებით . შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი 1981 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს N14ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.006.01.611)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი -მარიამ კვერნაძე.

დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა,ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს N14ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.006.01.611), მეორე სართულზე მდებარე 16,70 კვმ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით მოქალაქე ბადრი ვაწაძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით . შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დგინდება, რომ აღნიშნული პირი 1992 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N319-ში (საკადასტრო კოდი: 01.12.11.001.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N319-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.11.001.005) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (10 პირს, (10 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. ჯამში 425.06 კვ.მ ფართი.

შსს ცნობით, ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ც. დადიანის 319" 100%- იანი კრების ოქმით და ნაძალადევის რაიონის წერილით დგინდება რომ ზემოაღნიშნული პირები მითითებულ მისამართზე ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ 1998 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გორგასლის ქუჩა N28 (ნაკვეთი N135/9)-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.135.009.01.500; N01.20.01.135.009.01.501; N01.20.01.135.009.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გორგასალი, N28, (ნაკვეთი N135/9)-ში, პირველ სართულზე მდებარე 85.56 კვ.მ. (ს/კ: N01.20.01.135.009.01.500), მე-2 სართულზე მდებარე 84.19 კვ.მ (ს/კ: N01.20.01.135.009.01.501) და 87.60 კვ.მ ნახევარსარდაფის (ს/კ: N01.20.01.135.009.01.502)

პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მანანა კვესელავას (პ/ნ: 01017038840) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ აღნიშნულ მისამართზე მანანა კვესელავა ცხოვრობს 1993 წლიდან.
მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი 04/012, საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012 საკადასტრო კოდი: N 01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (10 პირს (10 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები . აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 428.63 კვ.მ.

შსს ცნობებით და მოწმეების დასტურით დგინდება, რომ ეს მოქალაქეები ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე 2012-2014 წლიდან. საჯარო რეესტრის მონაცემებით რამოდენიმე მათგანს ჰქონდა სხვა უძრავი ქონება, რომელიც გაასხვისეს და დღეის მდგომარეობით მათ სახელზე სხვა უძრავი ქონება დაფიქსირებული არ არის.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე
გლდანის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. (3 პირს, (3 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. საერთო ჯამში 169.11 კვ.მ ფართი.
შსს ცნობით, ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გმირი კუსანტების ქუჩა N5, კორპუსი 1" კრების ოქმით და გამგეობის წერილით დგინდება,ეს ოჯახები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ -1993- 1995 წლებიდან.
მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.064.006.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.064.006.01.013) პირველ სართულზე მდებარე უძრავი ქონების (31,15კვმ ფართი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით მოქალაქე ბაბულია მარგიევისთვის გადაცემის თაობაზე. შსს ცნობით, და მოწმეების ჩვენებით დგინდება,რომ მოქალაე დაახლოებით 25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრო/რაიონში, კორპუს N7-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.12 კვ.მ ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.507), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მეგი ჩაჩანიძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს ცნობითა და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,, ერთობა 2005" კრების ოქმით დასტურდება რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად 1998 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონი, კორპუსი N2-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი V, კორპუსი 2, 1 სართულზე მდებარე 191.26 კვ.მ უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართის) (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ელენე ტყემალაძის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება რომ აღნიშნულ მისამართზე ელენე ტყემალაძე ცხოვრობს 2000 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ააიპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი

განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდის" (ს/კ 405079640) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ააიპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის N26.13.522 განკარგულებითა და „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებით, ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდს" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) აუტიზმის მქონე პირთათვის სასწავლო/სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობის და მუდმივი პროფილის შენარჩუნების მიზნით. ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების მე-16 პუნქტის თანახმად, აღნაგობის უფლების მქონეს განესაზღვრა გარკვეული ვალდებულებები.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ფონდმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ფონდი, რომელიც დაფუძნებულია აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლების მიერ, მიზნად ისახავს მოემსახუროს 16 წლის ზემოთ აუტიზმის მქონე მოზარდებსა და ზრდასრულებს. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის საქართველოში და მთლიანად რეგიონში არ არსებობს საჭირო სერვისის მიმწოდებელი ინსტიტუცია. ფონდის წევრები საქმიანობას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე და ფონდის შემოსავლები მთლიანად დამოკიდებულია შემოწირულობებზე. განცხადებაში ასევე აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირველი და მე-2 კოტეჯების მშენებლობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა გაიცა 2019 წლის 17 აპრილს. აქედან გამომდინარე, პირველი კოტეჯის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა დასრულდა 2021 წლის 17 აპრილს, თუმცა COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა პროცესებმა ხელი შეუშალა შესაბამის ვადაში ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების დაწყებას.

ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მეორე კოტეჯის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების 2 წლიანი ვადის ათვლა იწყება პირველი კოტეჯის ექსპლუატაციაში მიღებიდან და აღნიშნული ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ განხორციელდა. აქედან გამომდინარე ფონდი ითხოვს მშენებლობის ვადის გახანგრძლივებას და ხელშეკრულების 16.2 პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს პატიებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა", „ბ", „გ" ქვეპუნქტებში და პირველი და მეორე კოტეჯის მშენებლობისა, ექსპლუატაციაში მიღებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა. ასევე, იცვლება 16.2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი და სასკოლო ტიპის ღია სტადიონის განთავსება და სარეკრეაციო ზონის (გრგ-ის გათვალისწინებით) მოწყობის ვადად განისაზღვრება არაუგვიანეს 2027 წლის 28 სექტემბერი. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იცვლება 16.2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, ფონდმა დღის ცენტრის ტიპის დაწესებულების აშენება და გარემონტება

უნდა დაასრულოს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა, ხოლო ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2027 წლის 28 სექტემბრისა. ასევე წარმოდგენილი პროექტის თანახმად იცვლება ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების მე-20 პუნქტი და საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ინფორმაციას დადასტურება განისაზღვრება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმებით სხვა შესაბამისი აკრედიტირებული აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ გაცემული დასკვნით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტების დარღვევისათვის ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 14.2 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს (თითოეული ვალდებულებისთვის 100 ლარის ოდენობით, ჯამში 200 (ორასი) ლარი) გადახდისაგან ფონდის/აღნაგობის უფლების მქონე პირის გათავისუფლების საკითხი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე

ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლის (ს/კ: 400013178) პრეზიდენტმა, მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებულ 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.11.13.002.096) დაკავშირებით. ფედერაციის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ეს 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ფედერაციის მთავარი საწვრთნელი ცენტრის (ს/კ: 01.11.13.002.039) მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც 2010 წლის 2 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით, 10 წლის ვადით იყო იჯარით გადაცემული ფედერაციის ერთ-ერთი კლუბისთვის: ა.ა.ი.პ - ხრიდოლის საადრეო იბერიელი მგლებისთვის (ს/ნ: 204551476), რომლის საკუთრებად არის რეგისტრირებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ: 01.11.13.002.039). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარით გადაცემული ტერიტორია გამოიყენებოდა სპორტულ ეზოდ, ღია სავარჯიშო და საწვრთნელ მოედნად. ტერიტორიაზე ასევე დაირგო მარადმწვანე ნარგავები. ფედერაციის პრეზიდენტი ითხოვს მიწის ნაკვეთის გადაცემას სიმბოლურ ფასად, ვინაიდან ათწლიანი იჯარა ტვირთად აწვებოდა ორგანიზაციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის წერილიც. აღსანიშნავია, რომ ფედერაცია დამატებით გეგმავს 5000 ლარის ოდენობის ინვესტიციას ხუთი წლის განმავლობაში, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განსაახლებლად, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამონტაჟებლად. ასევე მწვანე ნარგავების განსაახლებლად და დასამატებლად.
როგორც მომხსენებელმა აღინიშნა , რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა შეფასდა 3790 ლარით. ამ გარემოების მიუხედავად, ხრიდოლის განვითარებაში ფედერაციისთვის ხელშეწყობის თვალსაზრისით, განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის, 5 წლის ვადით, სიმბოლურ ფასად, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 ლარის ოდენობით, ინვესტიციის განხორციელების პირობით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, ქ.თბილისში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით* არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

„ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N19.521.699 და „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საქლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N187 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით , არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „ფსილოლოგიური მომსახურების ცენტრ მწვანე სახლს" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, ქ.თბილისში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: # 01.16.06.006.008.01.506) ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის განთავსების მიზნით.

უზუფრუქტუარმა წერილით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ,სადაც აღნიშნულია, რომ ეს ორგანიზაცია, თბილისში ფუნქციონირებს 2006 წლიდან და ფსიქიკური დარღვევების პრევენციის მიზნით, ემსახურება მცირეწლოვან ბავშვებს და მათ მშობლებს, ასევე - აუტისტური სპექტრის, აშლილობის დიაგნოზისა და მენტალური შეზღუდვის მქონე პირებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უზუფრუქტუარი ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას იგივე პირობებით 2 წლის ვადით.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დავით უთმელიძე